№ 139

ხუთშაბათი, 29 ივნისი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900


# ივერია

№ 139

ხუთშაბათი, 29 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227


დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 1 ივლისს.


## იყიდება კუკიის გაჯი.

ეს გაჯი ყველა სხვა გაჯსა სჯობია სითეთრით, სიმაგრით და სისუფთავითაც.

ზევრმა არ იცის ესა და ყიდულობს სხვა გაჯს, რომელიც რამდენისამე კაპეიკით უფრო იაფადა ჰღირს. რათა შემდეგში მუშტარი არ მოტყუვდეს, იმ პოვოსკებს, რომლითაც კუკიის გაჯსა ჰყიდიან, ექსტი ექმნება მიკრული ამნაირის წარწერით: **„კუკიის გაჯი"**.

ვისაც ჰსურს ეს გაჯი შეიძინოს, უნდა მიჰმართოს მეიჯარადრეებს თოფაძესა და ჩხეიძეს, კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიასთან, ნადიროვისა და დოლუხანოვის მამულში. მოიჯარადრეებს 15 ცხენი ჰყავთ გაჯის საზიდავად. (15—128—9)


## „ივერიის" რედაქციისაგან.

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.


## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ბძელიშვილი.** $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ჰ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**პ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**მ. გ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. ბებთაბეგოვი**—სიფილისის, კანისა და საშარდისა—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## მკურნალი გ. გ. წერეთელი

იღებს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე, და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)


ტფილისი, 28 ივნისი

გადასწყდა დიდის ხნის საზრუნავი საგანი, რომლის შესახებ რუსეთის მწერლობა და საზოგადოების საუკეთესო ნაწილი მე-30 წლებიდგან სამართლიანად დრტვინავდა და ჰღაღადებდა. ამ სამართლიანმა დრტვინვამ, ამ კანონიერმა ღაღადისმა გზა გაიკვლია და უმაღლესის სახელდებულის ბრძანებით, 12 ივნისს უმართებულესის სენატის სახელობაზედ ბოძებულით, დაბოლოვდა საკუთილოდ ციმბირის, რუსეთის ამ ვრცელის ნაწილის, ბედ-იღბალი: გაუქმებულ იქმნა კანონი, რომლითაც ციმბირში იგზავნებოდნენ დამნაშავენი და უვარგისნი სასამართლოების გარდაწყვეტილებანითა და ქალაქების მკვიდრთა საზოგადოებათა სურვილით: განთავისუფლდა ციმბირი ავაზაკთა დასასახლებელ ადგილობიდგან და ამიერიდგან ციმბირელებსაც მშვიდობიანად შეუძლიანთ იცხოვრონ თავიანთ სახლ-კარში...

ვიდრე ამ ახალს ცვლილებას რუსეთის კანონდებულებისას გავაცნობდეთ ჩვენს მკითხველებს, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ აღვნიშნოთ ციმბირის მდგომარეობა ამ ქვეყანაში ავაზაკთა, დამნაშავეთა და საზოგადოებათაგან განდევნილთა უვარგის და მავნებელ წევრთა დასახლებით.

უკანასკნელ თორმეტის წლის განმავლობაში, 1887 წლიდგან 1898 წლამდე, ციმბირში მისულა 100.582 გაგზავნილი სული, 95.876 მამაკაცი და 4.706 დედაკაცი, რომელთაც თან გაჰყოლიათ 58.609 მათის ოჯახის წევრი: სახლდობრივად 155 ქმარი, 17.554 ცოლი და 40.900 ბავშვი. ამ გვარად, ამ 12 წლის განმავლობაში ციმბირს 159.191 სული მიჰმატებია დასჯილთაგან, რაც ამ ქვეყნის საერთო მკვიდრთა რიცხვის 2,8% შეადგენს. ამ გაგზავნილთა შორის ადმინისტრაციის განკარგულებით ყოფილა გაგზავნილი 56.611 სული, ანუ 52,3%, რომელთაგან 26.392 სასჯელ-გარდახდილი საზოგადოებას უკან აღარ დაუბრუნებია. 20,834 ქალაქის მკვიდრთა და გლეხთა საზოგადოება გაუდევნია თვის შორიდგან ბიწიერის ყოფა-ქცევისათვის და 3.154 თვით მთავრობის განკარგულებით ყოფილა გაგზავნილი.

რაც შეეხება სასამართლოს გარდაწყვეტილებითა და განაჩენით ციმბირში გაგზავნილ-გარდასახლებულთ, სულ ამავე დროს განმავლობაში გაუგზავნიათ 32.518 სული, 30.882 მამაკაცი და 1.636 დედაკაცი, ანუ საერთო რიცხვის 32,3%.

მთელს ციმბირში 1897—1898 წ. გაგზავნილთა ორივე სქესის რიცხვი ყოფილა 298.577 სული, მაშინ როდესაც ციმბირის მცხოვრებთა რაოდენობა 5.727,090 სულს შეადგენს *).

აი, ასეთია გარეგანი სურათი ციმბირის მდგომარეობისა. აქამდე მომქმედი კანონ-დებულება ციმბირში უყრიდა თავს მთელის რუსეთის მკვიდრთა „ნაძირალს", მშვიდობიან მკვიდრთა მიერ განძევებულსა და ექსორია-ქმნილს, სასამართლოს მიერ ბოროტ-მომქმედად, დამნაშავედ აღიარებულს და სასჯელის ღირსად ცნობილს. ერთის სიტყვით, ციმბირი უვარგისთა და ბოროტ-მომქმედთა საბინადრო ალაგად, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, საზოგადოებათა „სანაგვედ" იყო მიჩნეული და ყოველივე ცუდი, სასამართლოს მიერ დამნაშავეობის ბეჭედ-დასმული, საზოგადოებიდგან განშორებულ-განდებული, კაცისმკვლელი, მძარცველი და მრავალ სხვა ბოროტ-მოქმედების ჩამდენი იქ იყრიდა თავს.

ეს მართლიერების გრძნობას მოკლებული და სულიერად დუხჭირი ხალხი, ამ ერთს ქვეყანაში შეჯგუფებული, რასაკვირველია, არც იქ ისვენებდა, იქაც იჩენდა თავისს ბოროტს გულის-თქმას, იქაც სძარცვა-

*) იხ. წიგნი: „Ссылка въ Сибирь, очеркъ ея исторіи и современнаго положенія".

## ფელეტონი

### შუამთა

„შუამთის (ხახულის ღვთის-მშობლისა) მონასტერი" მდებარეობს კახეთში, თელავიდგან გომბორის მხრივ რვა ვერსზედ. მონასტერს ნახევარი ვერსის მანძილზე ჩაურბის მშვენიერი გზა-ტკეცილი, გომბორ-თელავის საფოსტო გზისა. სამ კუთხივ არტყია ტურფად სანახავი, ათას გვარ დაქუჩიჩებული ქოჩორა ხეებით შემოსილი მთა-გრეხილები. ხოლო მეოთხე კუთხე ჩრდილოეთის მხრივ გადჰყურებს პირდაპირ ამაყად მდგარ ალავერდის მონასტერს და ფიანდაზად გადაშლილს ათას ფერად აყვავებულსა და აბიბინებულს ალაზნის ველს, შემკულს სოფლებით, სახნავსათესითა და ბაღ-ვენახებით.

მონასტერს რამდენიმე ვერსი სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ ხელის გულივით ვაკე საბალე-სათიბ-საბალახე ადგილი არტყია. მონასტერი ძველებური საციხე მაღალის გალავნით არის შემოკრული, რომელსაც ხშირი სათოფეები აქვს დატანებული. გალავანს გარედ ორი სახლია აშენებული მოაჯირებით მომსვლელ მლოცავთა ბინად და ღამის სათევად. იქვე გადმოსჩქეფს ცივი-ანკარა წყარო, რომელიც მილებით გამოუყვანია ამ მონასტრის წინამძღვრად მყოფობის დროს დღეს იმერეთის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდელო ბესარიონს. სრული ტაძარი, მაღალის გუმბათით ახოვანი და დიდებული შენდულებისაა. დიდი გუმბათი დახურული აქვს მწვანედ შეღებილის თუნუქით, ხოლო კალთები კრამიტით. ეტყობა, კრამიტის კუთხე-გადასაბმელებში საკმაოდ ეპარება წვიმა. გარეთ კუთხეები როგორც დასავლეთისა, ისე აღმოსავლეთ-სამხრეთისა წვეთისაგან ჩამორეცხილია, თუმცა შიგნიდგან-კი წვიმისა ჯერჯერობით არა ეტყობა-რა. როგორც სჩანს, მონასტერს იმდენი შეძლება არა ჰქონია, რომ რიგიანად გადაეხურათ *). მონასტრის ხელ-მოკლეობა იქიდგანაც სჩანს, რომ სულ სამი მღვდელ-მონაზონი მოღვაწეობს აქ და რამდენიმე მორჩილი, მეტის შენახვა მონასტრის შემოსავალს არ შესძლებია, მაგრამ ღვთითა და ამ მონასტრის წინამძღვარის ალავერდის ეპისკოპოსის კირიონის მეცადინეობით, სრული იმედია ჩქარა ექმნება შეძლება მონასტერს იმდენი, რომ მოღვაწენი, ბერ-მონაზონ-მორჩილებიც გაიმრავლოს და თავისს თავსაც კარგად მოუაროს: შუა მთის მონასტრის კუთვნილ ადგილებში აღმოჩნდა ნავთი, რომელიც ყოვლად სამღვდელო კირიონს უკვე გადაუცია კარგის პირობით საიმედო ამხანაგობისათვის.

შუა მთის მონასტერი შემკული ყოფილა ძველად ძვირფასის მხატვრობით, მაგრამ კირი წაუსვით შიგნიდგან და გაათეთრეთო, და მართლაც გაუთუთხნიათ კირით და ეს დიდებული ტაძარი ყაზარმასავით გაუთეთრებიათ, მხატვრობა მოუსპიათ.

წარსულს 1899 წელს, როცა ყოვლად სამღვდელო კირიონს მშვენიერი მოზაიკური იატაკი დაუგია მთელს მონასტერში, ტაძარიც გაუსუფთავებიათ რამდენადაც-კი ეს შესაძლებელი ყოფილა და რამდენზედაც კიბეებით შემწვდარან. ურეცხიათ კირი სხვა-და-სხვა საშუალებით, მაგრამ უფრო დიდი სამსახური ქლიავს გაუწევია. ქლიავის საშუალებით ჩამოურეცხიათ და აუწმენდიათ კირი და მრავალი ძვირფასი მხატვრობა აღმოუჩენიათ და მათ შორის კახთა მეფის ლეონ პირველისა, მისის მეუღლის დედოფლის თინათინისა და მათის შვილის გიორგის სურათები, იმ დედოფალის თინათინისა, რომელმაც აღაგო ეს ძვირფასი მონასტერი მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისს. აქვე შესდგა დედოფალი მონოზნად და აქვე მიებარა მიწას. ქართველთათვის ამ მონასტერში ორი ძვირფასი ნეშტია დაკრძალული: ერთი ამ მონასტრის აღმშენებელის დედოფალის თინათინისა და მეორე პოეტის ალექსანდრე

*) ამაზედ უარესს მდგომარეობაში იყო ალავერდის მონასტერი, იქ პირდაპირ ჩამოდიოდა წვიმის წყალი შიგ ტაძარში და გუბეები დგებოდა წირვა-ლოცვის დროსაც-კი, მაგრამ მისმა მეუფებამ ალავერდის ეპისკოპოსმა კირიონმა მობრძანებისათანავე მიჰყო ხელი წარსულს წელს ალავერდის მონასტრის გადახურვას და დღეს ნახევრად დახურულია, ნიავ-ღვარი შეკავებულია, მაგრამ დასრულებით ვერ დასრულდა გადახურვა, რადგანაც მონასტერს საამისოთ არავითარი საშუალება არ მოეძევება.

ვდნენ, ჰხოცავდნენ ხალხს, შენობებს ცეცხლს უკიდებდნენ და ამ ბოლოს დროს, როდესაც ციმბირში რკინის გზა იქმნა გაყვანილი, რკინის გზის ლიანდაგებსაც-კი ჰყრიდნენ ხოლმე, რომ უბედურება დაეტრიალებინათ. ამ გვარად საბრალო ციმბირელნი, ყოვლად უდანაშაულონი, მოკლებულნი იყვნენ მშვიდობიანსა და მოსვენებულს ცხოვრებას და იძულებულ მეზობლობა და ურთიერთობა გაეწიათ იმ ხალხთან, რომელნიც სახელმწიფოს სხვა ნაწილების მკვიდრთ სამეზობლოდ, საურთიერთოდ დაეწუნებინათ და უღირსად ეცნოთ.

აი, ამის გამო დრტვინავდნენ ციმბირელნი, ამ უსამართლობას ჰღაღადებდნენ რუსეთის საუკეთესო მწერალნი, და ამა წლის 12 ივნისის კანონმა ბოლო მოუღო ამ უსამართლობას, განათავისუფლა მავნე და ბიწიერ კაცთა დასახლებისაგან ციმბირი და ციმბირთან ერთად ამიერ-კავკასიაც, ციმბირსაც ისეთივე უფლება მიენიჭა იმატოს და იზარდოს მშვიდობიან და შრომის მოყვარე ხალხით, როგორი უფლებაცა აქვს მინიჭებული რუსეთის სხვა ნაწილებს.

შემდეგს წერილში დაწვრილებით შევეხებით თვით 12 ივნისის კანონს, რომლითაც ციმბირში გაგზავნა და დასახლება მოსპობილ იქმნება მომავალ 1901 წლის 1 იანვრიდგან.

ა. ახნაზაროვი

# ახალი ამბავი

*** გუშინ, 28 ივნისს, ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების წლის თავზედ სიონის საკრებულო ტაძარში გორის ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ წირვა და პანაშვიდი იქმნა გარდახდილი. წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი ფრეზე, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი, ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი, გენერლობა, სხვა-და-სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი და ძრავალი ხალხი.

*** გუშინ, 28 ივნისს, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში დანიშნული იყო საჯაროდ ვაჭრობა სოფლის მამულებისა. გასასყიდად დაინიშნა სულ 4 მამული და ოთხივე გაიყიდა. ამ მამულებზედ ირიცხებოდა თავნი ვალი 7498 მანეთი 75 კაპ. ხოლო სარგებელი 267 მან. 24 კ.

*** სამშაბათს, 27 ივნისს, ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ჰქონდა ქალაქის სასწავლებელთა კომისიას; კომისიამ წარსულ სხდომაზედ ამორჩეულ მასწავლებელ ქალის ქიტოევის ნაცვლად, რომელმაც უარი განაცხადა ქალაქის სასწავლებელში მასწავლებლობაზე, რადგანაც იგი მასწავლებლადაა დედათა გიმნაზიაში, ამოირჩია მასწავლებლად პარუნ-სარქისოვი. ამავე სხდომაზედ კომისიამ ხარფუხის სკოლის გამგედ ქ-ნი ჩიქოვანი აარჩია. სხვათა შორის კომისიისთვის ამიერ-კავკასიის შეიხ-ულ-ისლამსაც უთხოვნია, ხარფუხის სკოლის გამგედ ქ-ნი ჩიქოვანი დანიშნეთ, რადგანაც მან კარგად იცის თათრული ენაო. ამავე სკოლის მასწავლებლად კომისიამ დანიშნა ქ-ნი ხმიადოვისა. კომისიამ აგრეთვე დაადგინა: თუ ვინიცობაა რომელიმე ქალაქის სასწავლებელში მასწავლებლის ადგილი დაიცალა, ამ ადგილზედ უნდა დაინიშნონ უკვე ამორჩეული კანდიდატები. ამ რიგად: 1) ა. ივანოვისა, 2) ჩანტურალოვისა, 3) არარატოვისა, 4) ვორონოვისა, 5) წინამძღვარიშვილისა, 6) ქანანოვისა, 7) მარცინკევიჩისა, 8) გროსმანისა და 9) ახამიანისა.

*** გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია შეუდგეს საქართველოს-სამხედრო გზის შეკეთებასა და უკეთ მოწყობას. როგორც ვუწყით, ამ გზის უმთავრესი უბედურება თოვლისა და მიწის ზვავებია. სამინისტროს აზრადა აქვს გვირაბები გამართოს და ზვავები უშიშარ ჰყოს მგზავრთათვის.

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შავის-ზღვის-პირის გუბერნიაში სახელმწიფო მიწები ნაჭრებად დაჰყო და ეს ნაჭრები მსურველთ დაურიგა მეურნეობისათვის. სამინისტროს ბევრმა მიჰმართა თურმე და სთხოვა მიწა შავის-ზღვის-პირის გუბერნიებში, თხოვნები ეხლაც მისდის თურმე სამინისტროს. რადგანაც დასარიგებლად დანიშნული მიწის ნაჭრები უკვე სულ დაურიგებიათ, ამიტომ ეხლა სამინისტრო აცხადებს, რომ ახალ მთხოვნელების თხოვნებს უყურადღებოდ დავტოვებთო.

*** ხვალ, 30 ივნისს, ქალაქის გამგეობის წევრის შესტაკოვისა და ხმოსანთა ცურინოვისა და ალიბეგოვისაგან შემდგარი კომისსია ქალაქის ლომბარდის საქმეებს განიხილავს და ქონებას გასინჯავს.

*** მთავარ-მართებლის მეუღლეს კნეინა მარიამ თეოდორეს ასულს გოლიცინისას გრენადერთა გრუზინსკის რაზმის ოფიცერთა შვილების სკოლისათვის 5,000 მან. შეუწირავს.

*** უმაღლესად დამტკიცებული კომისია აცხადებს საქვეყნოდ, რომ ქ. ტრაპიზონი (შავის ზღვის ნაპირზეა, მცირე აზიაში) შავის ჭირის მხრივ სანდობი არ არის.

*** როგორც უკვე მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, გარდაწყვეტილია კახეთის რკინის გზა სამის წლის განმავლობაში გაიყვანონ. ოცის წლის შემდეგ რკინის გზის გახსნისა მთავრობას შეუძლიან აღნიშნული გზა გამოისყიდოს, ხოლო 60 წლის შემდეგ სრულიად საკუთრებად დარჩება.

*** ამ ჟამად ზოგიერთა დაწესებულებაში ცნობები იკრიბება იმის შესახებ, თუ საეტაპო გარდასახადს გლეხობა როგორ იხდის, ფულად თუ ბეგრით.

*** კავკასიის შეიხ-ულ-ისლამსა და შიიტების მოლებს უთხოვნიათ ქალაქის მოურავისათვის, რომ ხარფუხის მომავალს ქალაქის პირველ-დაწყებითს სასწავლებელში თათრული ენის მცოდნე მასწავლებელი ქალი დანიშნონ, რადგანაც ენის ცოდნით, უეჭველია, მოსწავლე ახალგაზდობას ბლომად მიიზიდავს.

*** სოხუმიდგან იუწყებიან, რომ იქ განზრახვა აქვთ სამაგალითო სასოფლო-სამეურნეო სკოლა დააარსონ.

*** ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საბჭოში წარუდგენია წინადადება იმის შესახებ, რომ ხორბლეული, ფქვილი, მარცვლეული და სხ. ამის შემდეგ უთუოდ წონით იყიდებოდეს და არა საწყაოთი, როგორც დღემდის იყო. ამითი სამინისტროს ის აზრი აქვს, რომ მწარმოებელთა მოტყუება მყიდველებისაგან ალაგმოს როგორმე.

*** თანახმად 15 ივნისს გამოთქმულ უმაღლესის სურვილისა, ტფილისში არსებულ ოლგას საზებიო ინსტიტუტში ერთს მუდმივს საწოლსა და ორს სტიპენდიას ამიერიდგან დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელი ეწოდებათ.

*** კვირას, 2 ივლისს, სადგურ მიხაილოვზედ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ნავთის მილს ოფიციალურად გაჰხსნიან.

*** რაჭის მაზრაში ამ ბოლოს დროს რამდენსამე ალაგს აღმოჩენილა სხვა-და-სხვა მადანი: კუდაროს ხეობაში, ჩასავალში — მარგანეცი და ანდამატი აღმოუჩენიათ სოფ. წედისში — რკინა და სოფ. სორში — ქვანახშირი.

*** როგორც კახეთიდგანა და ქიზიყიდგან გვატყობინებენ, ყურძნის მოსავალს კარგი პირი თურმე უჩანს.

*** როგორც გომბორიდგან გვატყობინებენ, ამ წელს იქ სააგარაკოდ ძალიან ბევრი ხალხი მისულა. ჯერ ამოდენა ხალხი არავის ახსოვს. სახლების ფასებმა საკმაოდ აიწია, თუმცა, წარსულ წლებთან შედარებით, უფრო პირიანია. ამინდი კარგია. სიცხეები ჯერ არა ყოფილა.

*** ამას წინად ჩვენს გაზეთში ახალ-ამბად დაბეჭდილი იყო, რომ ტფილისის მაზრის სოფელ საგარეჯოს მცხოვრები კონსტანტინე გიორგის ძე ხოხობაშვილი სამართალში იქმნა მიცემულიო; ხოხობაშვილს გენერალ-მაიორი იაკობ ეგნატის ძე დეინიაკინი უჩიოდა და 515 მანეთის მოპარვას აბრალებდა. გამომძიებელს, გამოუძიებია რა ეს საქმე და უცვნია რა ხოხობაშვილი უდანაშაულოდ, უთხოვნია ოლქის სასამართლოსთვის ამ საქმის სრულიად მოსპობა. ტფილისის ოლქის სასამართლოს ამა 1900 წლის 2 მაისს განუხილავს გამომძიებლის განცხადება და დაუდგენია, სისხლის სამართლის წესდების მე-528 მუხლის თანახმად, საქმე მოსპოს და ხოხობაშვილი ბრალდებისაგან განათავისუფლოს. როგორც შევიტყეთ, ეხლა თვით ხოხობაშვილი უპირებს თურმე გენერალ დეინიაკინს საჩივარს ცილის-წამებისათვის.

*** გუშინ-წინ, 27 ივნისს, ტფილისის საზაფხულო ბაღში ზ. მ. საფაროვის თაოსნობით ჟორ-მორისის მიერ ნაჩვენები იყო „ვეფხის-ტყაოსნიდგან“ მთელის პოემის ბუნდოვანი სურათები. თითოეულ სურათის ჩვენებამდის დამსწრეთ მოკლედ აცნობდნენ შინაარსს სურათისას. ხალხი საკმაოდ დაესწრო. აღნიშნული ბუნდოვანი სურათები ზიჩის სურათებიდგან იყო გადაღებული და ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ბოლოს თითონ შოთას სურათი შესანიშნავის ეფექტით იქმნა ნაჩვენები. ხალხი ტაშის-კვრით მიეგება.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნმა კოვალიოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ ზომები იქმნეს მიღებული ქალაქის ზოგიერთ ქუჩების შესასწორებლად, რომლებზედაც ჭუჭყია მთელი გროვა ნაგავისა. ბევრგან ქუჩებში თხრილებიც-კი არის.

*** ტფილისის ცხენის რკინის გზის მეთვალყურე კომისიის თავმჯდომარემ ი. ა. სულხანოვმა შეატყობინა ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ბ-ნს რობის და ავჭალის გზის კონცესიონერებს, რომ რადგანაც ტფილისში მალიან სიცხეებია და ცხენის რკინის გზის ვაგონებში ხალხი სიცხისაგან მეტად სწუხდებაო, ვაგონებს ფარდები გაუკეთეთო.

*** ტფილისის პურის მცხობელთა ამქრის წარმომადგენელმა ბ-ნმა გიორგი სხირტლაძემ ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს კოვალიოვს განცხადება წარუდგინა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ზოგი პურის მცხობი ჰქირაობს ხოლმე გერმო კაცებს, რომელნიც დადიან ქუჩა-ქუჩა და სხვა და სხვა სახლებში და ცუდის თვისების პურს ჰყიდიან, რაც სრულიად უვარგისია საჭმელად. ამას გარდა ეს კაცები ღორობასა და გარეუბნებში ატარებენ დროს. ასე ქუჩა-ქუჩა მოსიარულე პურის მყიდველი ტფილისში 600 — მდე იქმნება. პურის მცხობლებს ეს გაყიდვები 10,000 მანეთამდე ზარალს აძლევსო. დასასრულ ბ-ნი სხირტლაძე სთხოვს პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს, რომ აღუკრძალოს იმათ სახლებში პურის ტარება და ქუჩებში ყიდვა. ეს განცხადება პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელმა ქალაქის მოურავს გაუგზავნა.

*** ქ. ზუგდიდი. თუ ამ გაუწყვეტელმა წვიმებმა კიდევ რამდენსამე ხანს გასტანა, მაზრის გლეხობა მთლად დაიღუპება. უკვე ორ დღეში ერთხელ

---

ჭავჭავაძისა.

დედოფალი თინათინი დაკრძალულია ტაძარში ჩრდილოეთის მხრივ სამკვეთლოს ახლოს კედელთან, კედელში ახლად გაუკეთებიათ მშვენიერი მარმარილოს ქვა ზედ ამოჭრილის სამეფო სამკაულებით და შემდეგის ზედწარწერით: „აქ ძლევარე არს გვამი კახთა მეფის ლეონის მეუღლის თინათინისა ამა მონასტრის აღმშენებელისა. 1519 — 1534“.

აქვე გვერდზედ არის ჩამოკიდებული ჩარჩოთი მონასტრის შემდეგი დადგენილებანი:

„სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

„1899 წელსა აპრილის 24-ს დღესა, შეწევნითა ღვთისითა, შევუდექით შუა მთის მონასტრის განახლებას, იატაკის მოზაიკის გაკეთებას და ამა მონასტრის აღმშენებელის კახეთის დედოფლის თინათინის საფლავის განახლებას.

საფლავი გარდმოცემით უნდა ყოფილიყო სამკვეთლოსა და ჩრდილოეთის კარებს შუა და მართლაც სვეტთან ერთი პატკადა ქვა იდვა, რომელიც ისეთს ხმას იღებდა, რომ მის ქვეშ უთუოდ ცარიელი რამ უნდა ყოფილიყო. გადავიხადეთ მცირე პანაშვიდი, ავხადეთ ქვა და მტვანე ქაშანური აგურის ფილაქანი და მართლაც შიგ აღმოჩნდა საფლავში შესავალი რგვალი კარები, რომელიც სავსე იყო ღორღით. ამოვასუფთავეთ შესავალი კარები და გამოჩნდა თაღით გადაყვანილი. გაჯით გალესილი და დაფერილი ალებასტრის ფიგურებით შემკული სამარხი, რომელსაც საძ ადლამდინ ჰქონდა სიგძე და სავსე იყო მუგუზლებით, ატმის კურკებით და ნაგვით. საფლავი დედოფლისა, რომელიც მდიდრულად ყოფილა შემკული გაუძარცვავთ მაჰმადიანებს, მრავალ ტანჯულ საქართველოში შემოსევის დროს და ნაგვით აუვსიათ. როდესაც ნაგავი სრულიად გამოვიტანეთ, ვიპოვნეთ ძვირფასი ნეშტი მონასტრის აღმშენებელისა, რომელიც გამოსუფთავებულ საფლავში იქვე ერთად ჩავასვენეთ მოწიწებით და დავკრძალეთ.

ეს იყო 1899 წელსა მაისის 14-სა დღესა, როდესაც მოზაიკური იატაკი დასრულდა, თინათინის საფლავი რომ არ დაკარგულიყო შთამომავლობისათვის, გავაკეთებინეთ მარმარილოს ქვა შესაფერის ზედ-წარწერით და საფლავის ასწვრივ კედელში ჩავსვით. ამასთან მხატვრობაც გავასუფთავეთ რამდენადაც შეიძლებოდა და დასავლეთის კარების მარჯვენა კუთხის კედელზედ გამოვაჩინეთ სურათები: კახეთის მეფის ლეონ პირველისა, მეუღლისა მისისა დედოფლისა თინათინისა და მათი შვილისა გიორგისა. ეს სურათებიც განვათავისუფლეთ კირისაგან, რომელიც ჰფარავდა ამ მხატვრობას. ამ შემთხვევის გამო 9-ს ენკენისთვეს 1899 წელსა გადავიხადეთ პანაშვიდი შუა მთის მონასტრის აღმშენებელის კახეთის დედოფლის თინათინის სულის მოსახსენებლად და განვაწესეთ ამიერიდგან ყოველს წელიწადს ძმანი ამა მონასტრისანი ასრულებდნენ წირვას და პანაშვიდს 9-ს ენკენისთვეს.

ღმერთმან ჰკითხოს იმას, ვინც ეს დადგენილობა გადააგდოს და არ შეასრულოს. 1900 წელსა მაისის 17-ს დღესა.

შუა მთის ხახულის ღვთის მშობლის მონასტრის წინამძღვარი კირიონი, ეპისკოპოზი ალავერდისა.

შუა მთის მონასტრის ხაზინადარი მღვდელ-მონაზონი ნიკიფორე, მოლარე მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზი, მღვდელ-მონაზონი ტარასი, იეროდიაკონი მალაქია, მორჩილი იროდიონ, მორჩილი ივანე“.

მეორე ძვირფასი საფლავი არის ჩვენის მგოსნის თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისა, რომელიც ძალიან მოყვარული და თავ-გამოდებული იყო სამშობლოსათვის. პოეტი დამარხულია შუა ტაძარში სამხრეთის მხრივ კედელთან, კედლის ძირს ადევს ფიქალი ზედ წარწერით: „მარად საუვიწყოსა სიმამრისა სამარესა დავზდევ ფიქალი ესე მთავარმა დავით დადიანმა“. ფიქალის ასწვრივ კედელში ჩასმულია მარმარილო, რომელზედაც შემდეგი ზედ წარწერა არის: „თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე მიიცვალა ჲ წლისა 3 გიორგობისთვეს ჩყმვ წელსა მწუხრსა განისვენის ტირილმა და ცისკარსა სიხარულმა“.

პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავი ინახულა მეოთხმოცე წლებში აკაკიმ, და საფლავზედ დასწერა შემდეგი ლექსი:

„შენს წმინდა საფლავს,
გულის მოსაკლავს,
დავცქერ, გმირო, სულ-განაბული:
შენგან ქებული,
დავიწყებული,
დღეს მაგონდება ჩვენი წარსული!

—

თვალ-ცრემლიანსა,
გულ-სევდიანსა
ენა მებმება ვერრის ვარ მთქმელი
და ან კი რა ვსთქვა?
გულზედ მაწევს ქვა
მეტა შეხსავით გულის დამწველი.

—

და მადლობა ღმერთს,
რომ გვიგო შენ ერთს
სიცოცხლითავე საფასო სრული:
მალი, დიდება,
პატივი, ქება
და ქართველთაგან მზა სიყვარული!..

—

მღერალო ტკბილო,
მამულიშვილო,
ამაღლებულო სულით ზეცამდე,
იყავ კურთხეულ,
არ დავიწყებულ
ამიერიდგან უკუნისამდე!..

სოსიკო მერკვილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

[...]წვიმამდა მეორე დღეს მზე, მაგრამ [...]ბა და დამუშავება არ შეიძლება; ყანები მთლად გაყვითლებულია ნამეხის წვიმისა გამო; ივლისამდე რომ ასე გასტანოს, სულ გაფუჭდება ყანები. აბრეშუმის პარკს კაი ფასი აქვს და შეიძლება 16 მანეთამდე საწონს.

*** ს. მიქელ-გაბრიელი. ამ დღეებში აქ საზიზღარი მკვლელობა მოხდა. აქაურმა მცხოვრებმა ი. ხომერიკმა [...]ლა ა. ს. მჟავანაძე. ა. ს. მჟავანაძე [...]აცა მიზეზის გამო გზაში მიმავალს ხომერიკს დახვდა და ცემა დაუწყო. [...]როს მისახმარებლად ს. ჭოფხოძე [...]რდა და ა. ს. მჟავანაძეს ხელი მოჰკიდა. ამით ისარგებლა ხომერიკმა, [რ]ევოლვერი ამოიღო, ესროლა ა. ს. [მჟა]ვანაძეს და იქვე მიწაზედ დასცა. [და]ჭრილმა მხოლოდ რამდენიმე წამი[...]ლა იცოცხლა. მკვლელი ი. ხომერიკი მაშინვე გაიქცა; პოლიცია დაეძებს. [მკ]ვლელობის მიზეზი ჯერ ნამდვილად [არ]ავინ იცის. განსვენებულს დარჩა ცოლი და ერთი ძუძუ-მწოვარა ბავშვი.

*** სოფ. უნალი (კავკავის მაზრა). [ივ]ნისის პირველს აქ ერთი სამწუხარო [ამ]ბავი მოხდა: აქაურ მცხოვრების გა[...]იევის მეცხვარეს ცხვრის ფარა მოუდიოდა მინდვრიდგან მთაში საძოვრად. [...]ნაჟის ხიდზედ რომ შემოაყენა ცხვარი, ცხვარი ერთბაშად შეფრთხა და [...]ქდა. აღარც იქით გადიოდა და აღარც [აქე]თ. მეცხვარე ბევრს ეცადა, მაგრამ [ა]რა გედარას გახდა, ხიდზედ თავთაც შევიდა და ცხვარს დაუწყო გადმა გარეკვა; მაგრამ მისდა საუბედუროდ, თურმე გაგიჟებულს მდინარე არდონს წინა დღით ხიდისთვის მოგვრები დაეზიანებია და ახლა სამას სულზედ მეტი ცხვარი რომ ზედ გაჩერდა, ხიდმა ვეღარ შესძლო და ჭაჭა-ჭუჭი დაიწყო. ცხვარი მაინც არ იძროდა. მეცხვარემ რომ შენიშნა ვეღარ გაასწრებდა, უბედურება-კი აღარ აშცდებაო, ჩაიყო საბ[...]ალოში ჯიბეში ხელი, ამოიღო ქისა, რომელშიაც ოც-და-ათი თუმანი (300 მ.) [ე]ლოდა და ამხანაგს გადაუგდო ნაპირ[ზე]დ და გასძახა: „მე გხედავ, ვეღარ გა[და]ვრჩები და ეს ფული მაინც დაგრჩეთ [პატ]რონს მაგიგრათაო". სიტყვის მეც[ხვ]არეს დიდხანს აღარ დასცალდა, ხიდი [ჩა]მტყდა და აღელვებულ მდინარეში [...]ას სულამდე ცხვარი ჩაცვივდა. საბ[რა]ლო მეცხვარე პატარა ხანს-კი მოებღაუჭა ხიდის ხეს, მაგრამ საჩქაროდ [ხი]დი სულ ერთიან მიდეწ-მოდეწა გა[ტა]ცებულმა მდინარემ და მეცხვარეც [უ]ბრალოებულს ტალღებს მისცა. ამ [სა]მწუხარო სურათს მრავალი ხალხი [უყ]ურებდა ნაპირებიდგან, მაგრამ შველა [შ]ეუძლებელი იყო, რადგანაც [...]ებულს მდინ. არდონს თითო სახლის ოდენა ქვა მოჰქონდა.

[ო]ც-და-შვიდს მაისს სახების ხეობაში იმსხვერპლა ორი კაცი მდინარე [...]ალდოხმა. ამ საბრალოთ შორის [...]ით მოკლა დაიზარეს და ცხე[ნ]ით მოინდომეს გასვლა წყალში, [მაგ]რამ ორთავეს ცხენები წაექცათ და [და]იხრჩნენ, თუმცა ცხენები-კი გადარ[ჩა].

* 27 ივნისს პოლიციის მე-6 ნაწილში ქ. [...]უხის მცხოვრებმა ამირ-მუნჩა-ოღლი ჩხუბის დროს ქუთაისის გუბერნიისა [...]ზრის მცხოვრები ისიდორე შენგელია [...]პიაძინის მაზრის მცხოვრები ოჰანეზ სამი დასჭრა: პირველი წელში, ხოლო მეორე მარცხენა ხელში. დაჭრილებს შვება აღმოუჩინეს. მკურნალების სიტყვით დაჭრილობა საშიში არ არის. დამნაშავე შეპყრობილია.

[...]ადგ. მიხაილოვიდგან იუწყებიან, [...] ივნისს რკინის გზის მუშა ზაქარ [...]ტკვარში ბანაობის დროს დაირჩო გაუფრთხილებლობისა გამო. დამრჩვალის გვამი იპოვნეს.

## ურთიერთ-შორის სეტყვისაგან დამზღვევი ამხანაგობა.

რა დიდი ზიანია სეტყვა მეურნეობისათვის საზოგადოდ და ვენახებისთვის კერძოდ, ამაზედ ბევრი ლაპარაკი და სიტყვის გაბმა მეტია. ყველამ, ვინც-კი მევენახობას მისდევს, ეს მწარე გამოცდილებით იცის. საქმე ის არის, თუ ვითარ და რა გზით შეიძლება კაცმა თავიდგან აიცილოს მწარე შედეგი ამ ულმობელის სტიქიონისა კაცი უძლურია სეტყვასთან ბრძოლაში. ხოლო განათლებულმა ნაწილმა კაცობრიობისამ დიდი ხანია მიჰმართა სხვა გვარ საშუალებას უბედურების თავიდგან ასაცდენად. ეს საშუალება არის დაზღვევა ქირნახულისა. საკუთრივ ვენახების დაზღვევა სეტყვისაგან დაიწყეს ევროპაში ჯერ ისევ წარსულ საუკუნეში. მაგრამ ეს საქმე დღემდის იქაც ვერ მიდის კარგად. მიზეზი ამისა ის არის, რომ მეაქციეთა საზოგადოებანი ერიდებიან სეტყვისგან დაზღვევას, ვითარცა საზარალო საგანს. მეაქციეთა საზოგადოებას, ვითარცა სავაჭროსა და კომერციულ საქმეს, მოწევა და მოპატიჟება არ უნდა; ის თვით ეძებს სახეირო საქმეს და თუ იგი შეამჩნია სადმე, სწრაფად გაჩნდება იქ თავისის აგენტებითა და კანტორებით. მაგალითებრ, ვინ ეხვეწა და ემუდარა, რომ მოდით, მოგვეშველეთ და ცეცხლისაგან დაგვიზღვეთ შენობებიო, რომ მთელი ტფილისი და პატარა ქალაქებიც-კი ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებათა კანტორებით გაივსო. რუსეთისა და უცხო ქვეყნების მეაქციეთა საზოგადოებანი საშინლად ექიშპებიან ერთმანეთს და დამზღვეველს ხელიდგან სტაცებენ ერთი-მეორეს. მერე რათა ხდება ეს? იმიტომ, რომ დიდის ხნის გამოცდილებამ დაუმტკიცა ფულიან ხალხს, რომ ეს საქმე ფრიად საჭიროა. სულ სხვაა სეტყვისაგან დაზღვევა. თვით ევროპაშიაც, სადაც ყველა აზღვევს ვენახებს, ყველა იხდის შესაფერს ხარკს სეტყვისაგან დამზღვევ საზოგადოების სასარგებლოდ, იქაც-კი ცნობილია, რომ ეს საქმე საზარალოა. ამიტომ იქაურ მეაქციე საზოგადოებათ მთავრობაც ეხმარება სუბსიდიით. აი, მხოლოდ ამ საშუალებით სწარმოებენ იქაურნი საზოგადოებანი. რუსეთში არსებობს ერთად-ერთი სეტყვისაგან დამზღვევი მოსკოვის საზოგადოება. იგი საზოგადოება ეცადა ჩვენში შემოეღო ვენახების დაზღვევა, მაგრამ ვერ მოახერხა; ჰშიშობს ზარალს და საბუთიანიც არის იგი შიში. ვიდრე ეს შიში არსებობს, ვერც თხოვნა, ვერც შეამდგომლობა კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა ვერას იზამს, ვერავის აკისრებინებს საზარალო საქმეს. აი მთავარი მიზეზი, რომ ვენახების სეტყვისაგან დამზღვევი სააქციონერო საზოგადოება არა ჩნდება ჩვენში დღემდის, არა ჰხეირობს რუსეთშიაც. თუ მთავრობამ არ მიიღო მონაწილეობა, ასეთი საზოგადოება ვერ დაარსდება. აი ამიტომ მიგვაჩნია საფუძველ მოკლებულად ის საყვედური, რომელიც ამას წინად „ივერიის" ფურცლებზედ უძღვნა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ბ-ნმა ყველგანმყოფმა. იგი ემდუროდა ამ საზოგადოებას: რად არ სცდილობთ მეაქციეთა სეტყვისაგან დამზღვევი საზოგადოება დაგვიარსოთო. ჩვენ ვეცადეთ დაგვენახვებინა მკითხველისათვის, რომ ასეთი ცდა უნაყოფოდ ჩაივლის.

გარნა არის მეორე ტიპი დამზღვევ საზოგადოებათა, ეს არის „ურთიერთ-შორის დაზღვევა". ამას არც დიდი ფული სჭირია, ადვილი მოსახერხებელიც არის. სწორედ ყოველმა მაზრამ კერძოდ ასეთი „საზოგადოება" ანუ ამხანაგობა უნდა დაიარსოს. როგორც შევიტყვეთ, ერთს წრეს უკვე განუზრახავს ამ საქმის განხორციელება, და ამჟამად წესდებას არდგენს ასეთის საზოგადოების დასაარსებლად. დიდად სასურველია, რომ ეს ფრიად სასარგებლო საქმე ჩქარა მოეყვანოთ სისრულეში.

მიხეილ ნასიძე

# რუსეთი

— მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მოსკოვში ქალთა უმაღლესი კურსები იქმნა დაარსებული, სადაც სწავლა ამა წლის სექტემბერს დაიწყება. ეჭვი არ არის, იქ შესვლის მსურველი ბევრი აღმოჩნდება. შარშან, მაგალითად, პეტერბურგის კურსებზედ 300-ზედ მეტი მთხოვნელი აღმოჩნდა, რის მიღებაც შეეძლოთ. რათა მოსკოვის კურსებზედ შესვლის მსურველთ ტყუილად ქაღალდების გაგზავნა და წასვლა არ მოუხდეთ მოსკოვში, მათ აქვე შეუძლიანთ გაიგონ მიიღებენ თუ არა კურსებზედ. ამისათვის საჭიროა იმ ქალმა, რომელსაც შესვლა უნდა, უბრალო განცხადება გაჰგზავნოს მოსკოვის სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიაში ასეთის წარწერით: „На высшіе женскіе курсы". განცხადება 1 აგვისტომდე უნდა გაიგზავნოს. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს: მთხოვნელმა სად მიიღო განათლება, როდის გაათავა კურსი, რა ნაირი ატესტატი აქვს და პასუხი სად უნდა გაუგზავნოს. ამ პასუხისათვის წერილში ერთი საფოსტო მარკაც უნდა ჩაიდოს. შუა აგვისტოში სასწავლო ოლქის მთავრობა, განიხილავს რა ამ განცხადებებს, აცნობებს მთხოვნელთ: ვისაც კურსებზედ მიიღებენ იმას, თუ სად უნდა წარადგინონ ქაღალდები და ფული ლექციების ყურისგდებისათვის, ხოლო სხვებს იმას, რომ ისინი არ იქმნენ მიღებულნი.

— რათა იარმუკების გამართვის საქმე სხვა-და-სხვა ქალაქში გაადვილებულ იქმნას, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს შეამდგომლობა აღუძრავთ, რომ ახალის იარმუკების გამართვა, მათი დახურვა და სხვა ქალაქში გადატანა დამოკიდებული იყოს ხოლმე ადგილობრივ გუბერნატორებზედ, რომელთაც ეს საქმე სახაზინო პალატის უფროსებთან მოლაპარაკების შემდეგ უნდა გადასწყვიტონ. სამინისტროს ეს საქმე გადასაწყვეტად მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაეცემა, თუ გუბერნატორი და ხაზინის უფროსი ვერ შეთანხმდნენ.

— რკინის გზების სადგურებში მიღებულ წერილებს, რომელსაც ამ წერილების პატრონს ურიგებენ, გადასახადს ართმევენ, თითო წერილში 3 კაპეიკს. გზათა სამინისტროს, განუზრახავს რა ამ გადასახადის მოსპობა, მიუმართავს რკინის გზების გამგეობისათვის იმათის აზრის შესატყობად. გამგეობათ უცნობებიათ, რომ იმ სადგურებზედ, სადაც გადასახადი 50 მანეთს არ აღემატება, ეს გადასახადი არ უნდა მოისპოს.

# უცხოეთი

ჩინეთი. გაზ. „North China Herald"-ში დაბეჭდილია ერთის ჩინელის წერილი. სხვათა შორის ჩინელი სწერს: „კარგა ხანია ჩინეთში საიდუმლო შეთქმულება არსებობს უცხოქვეყნელთა წინააღმდეგ. შეთქმულთა უმთავრესს საგანს შეადგენს ევროპიელთა განდევნა ჩინეთიდგან და სახელმწიფოს მიერ წართმეულის მიწა-ადგილების დაბრუნება. შეთქმულთ მეთაურობენ: ქვრივი იმპერატრიცა, პრინცი ჩინგი, პრინცი ტუანი, კანგ-ი, ჩაო-შუ-აშაო და ლი პინგ-ხენგი. მათ გადასწყვიტეს მიზანს მანჯურის ჯარისა და „დიდის მუშტის" შემწეობით მიაღწიონ. ამას წინად პეკინში დედოფალთან იყო ერთი ცენზორი, სახელად კანგი. იმპერატრიცამ ჰკითხა ცენზორს: „თქვენ ჩილის პროვინციიდგანა ხართ და იცით, რასა ჰფიქრობენ „დიდის მუშტის" მომხრენი. როგორა გგონიათ, დაგვიპყრენ თუ არა მხარს, უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ რომ მოქმედებას შეუდგეთ?—მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველანი ამ საქმეს გულ მოდგინედ მოჰკიდებენ ხელს. თვით მე გაუძღვები ბრძოლის ველზედ „დიდის მუშტის" რამდენსამე ათასს მომხრეს. —ძალიან კარგია, უთქვამს იმპერატრიცას, მაგრამ მეშინიან, „დიდის მუშტის" მომხრენი არ აჩქარდნენ და საქმე არ გააფუჭონ. მეთაურები შეჭვედად დაარიგეთ და უთხარით, როგორ უნდა მოიქცნენ". მეორე დღეს ამ ლაპარაკის შემდეგ ცენზორი კანგი იმპერატრიცას პეკინის გუბერნატორად დაუნიშნავს.

— როგორც დეპეშები და გაზეთები გადმოგვცემენ, დღემდე ევროპიელებს გადაუსხამთ გემებიდგან ჩინეთში, იქ მყოფთ ჯარის გარდა, 520 აფიცერი და 13,500 ჯარის-კაცი. აქედგან 5,934 რუსია, 3,838 იაპონელი, 1,884 ინგლისელი, 1,344 გერმანელი, 404 ფრანგი, 349 ამერიკელი, 138 იტალიელი და 139 ავსტრიელი. შეერთებულ ჯარს სულ 89 ზარბაზანი აქვს. ეს მცირე ჯარი, რაღა ლაპარაკი უნდა, ვერას გააწყობს ჩინელების უთვალავ ჯართან. როგორც ჩინეთიდგან იუწყებიან, ტიან-ძინის მახლობლად ჩინელებს 20,000 ჯარის კაცი ჰყავთ უმრავლესობა ამ ჯარისა მაუზერის თოფებით არის შეიარაღებული. სულ-კი ამ თოფით ჩინეთში 900,000 კაცი უოფილა შეიარაღებული. ჯარს ზარბაზნები ახობითა აქვს: კრუპპისა, ნორდენფელდტისა და მაქსიმისა. ეს მხოლოდ ჩრდილოეთ პროვინციებში. სამხრეთ პროვინციებში ჯერ სიჩუმეა, მაგრამ მცოდნე კაცები ამბობენ, თურმე რომ ამ პროვინციებში ჯერ ემზადებიან და ამიტომ არეულობებში მონაწილეობას არ იღებენ; მალე ისინიც ჩაერევიან და საქმე ერთი ათად გართულდებაო.

გერმანია. ჩინეთში მომხდარმა ამბებმა ყველაზედ მეტად გერმანია აალაპარაკა. ეჭვი არ არის, ამისი მიზეზი გერმანიის წარმომადგენლის მოკვლაა. მთავრობა, უფრო-კი იმპერატორი, საშინლად ააშფოთა და გააბრაზა ამ ამბავმა. ადგილობრივი გაზეთები ერთხმად გაიძახიან, რომ გერმანიამ არასოდეს არ უნდა აპატიოს ჩინეთის წარმომადგენლის მოკვლა და ისე სასტიკად უნდა მოექცეს მას, რომ სამუდამოდ დაახსოვდეს და ასეთი საქმე აღარ გაუბედოს. ამას წინად ბერლინში თათბირი ჰქონიათ იმპერატორსა და ჯარის წარმომადგენელთ. გერმანელების უმრავლესობა იმასა თხოულობდა, რომ ჩინეთში მთელი ერთი დივიზია გაეგზავნოს. საზოგადოდ იმპერატორსა და მთავრობას უკვე გადაწყვეტილი აქვთ, რომ დიდ ძალი ჯარი გაგზავნოს ჩინეთში და რაც შეიძლება სასტიკად მოექცეს იმათ, ვინც ამ სახელმწიფოში ამბოხებანი გამოიწვია.

## სასამართლოს მატიანე

(ვლადიმირ ა. ქორიძის საქმე)

სამშაბათს, 27 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის 1 დეპარტამენტმა განიხილა, სხვათა შორის, საქმე ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ ამაღლების მცხოვრების გლეხის ვლადიმერ ანტონის ძის ქორიძისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ მან წარსულის, 1899 წლის, 15 აგვისტოს ქალაქ სოხუმის ახლო ლაზარე ბერძნიშვილის ბინაზე ქვრივს მარიამ ვორონინისას მალომრეობით ნამუსი აჰხადა. 24 მარტს ეს საქმე განიხილა ქუთაისის ოლქის სასამართლომ, რომელმაც დამნაშავედ იცნო ვლადიმერ ქორიძე და მიუსაჯა ყოველისავე უფლება-უპირატესობის ახდა და ციმბირის არა შორეულს ადგილებში გადასახლება. ბრალდებულმა ვლადიმერ ქორიძემ საქმე პალატაში გადაიტანა. 27 ივნისს სამოსამართლო პალატამ, განიხილა რა ეს საქმე ხალხის დაუსწრებლად, დამნაშავედ იცნო ვლადიმერ ქორიძე აღნიშნულ ბრალდებაში და დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც ვუწყით, ჩინეთი მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფოა: ამ სახელმწიფოში ბევრი დიდი ქალაქია. დიდ ქალაქებ შორის უფრო შესანიშნავია:

| | | |
|---|---|---|
| პეკინი | 1.600,000 | მცხოვრები |
| კანტონი | 2.500,000 | „ |
| სიანგტონი | 1.000,000 | „ |
| სინგძკი | 1,000,000 | „ |
| ტიან-ძინი | 1.000,000 | „ |
| ხინკოუ | 700,000 | „ |
| ფუტჩოუ | 600,000 | „ |
| შანხაი | 460,000 | მცხ. და სხ. |

***

არც ერთს სახელმწიფოში ფოსტას იმდენი სამუშაო არა აქვს, რამდენიც ინგლისში. ამ სახელმწიფოში საოცრად ბევრი წერილები იგზავნება. შარშან, 1899 წელს, მაგალითად, გაუგზავნიათ სულ 2 მილიარდი წერილი. იმ წელიწადს, რა წელიწადსაც დედოფალი ვიქტორია ტახტზედ ავიდა, გაუგზავნიათ სულ 70 მილიონი წერილი. განსხვავება ძალიან დიდია. საფოსტო უწყებას ამასთან მოგებაც დიდი აქვს. შარშან 700,000 მანეთი ამ უწყებას მარტო უკანონოდ გაგზავნილ ფულიან წერილებიდგან ამოუღია.

***

ომიანობა და ჯარი უნდა გადავარდესო, ერთხმათ იძახიან ევროპის გაზეთები, და ამავე დროს-კი ესპანელები და ფრანგი ქალები გულ-მოდგინედ სწავლობენ იარაღის ხმარებას, რომ თუ ვინიცობაა ომი მოხდა, მამა-კაცებს იმათაც დაუჭირონ მხარი. განსაკუთრებით გულ-მოდგინეთ ამ საქმეს, როგორც გაზეთები მოგვითხრობენ, პარიჟელმა ქალებმა მიჰყვეს ხელი. ამ ქალებმა საქმე ტანისამოსიდგან დაიწყეს: მაღალყელიანი ფეხსაცმელი, ტიროლური შლიაპა და

ძალიან მოკლე კაბა, აი პარიჟელ „მეომარ“ ქალთა ტანისამოსი. ქალთა კლუბში ყოველ დღე თოფის განუწყვეტელი სროლაა თურმე. დრონი მეფობენო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი. წინად პარიჟელი ქალები საომარ იარაღად მარტო თავიანთ თვალებსა ჰხმარობდნენ, და, მათდა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, ბევრ ყმაწვილ და მოხუცებულ კაცებს ცუდი დღე დასდგომიათ ამ თვალებისაგან; ეხლა-კი თოფის სროლისათვის მიუყვიათ ხელი.

* * *

ერთი გაზეთი შემდეგ ამბავს მოგვითხრობს. რვა წლის წინად ტრანსვაალში წასულა რუსეთიდგან ერთი ებრაელი; აქ ბედი არა სწყალობდა და უფიქრნია, იქნება იქ მაინც გავაწყო საქმე და გავმდიდრდეო. აი, ამცოლი ებრაელს რუსეთში დაუტოვებია და მარტო გასდგომია გზას. მალე ებრაელს ტრანსვაალში საქმე კარგად წაუყვანია და ლომა ფული შეუძენია. მშვენიერი სახლიცკი უყიდნია იოჰანესბურგში. ცოლს ყოველთვის წერილებს სწერდა და ფულსაც საკმაოდ უგზავნიდა. ტრანსვაალის ომის დაწყებისას ებრაელს გაუყიდნია მთლად თავისი უძრავი ქონება, აუღია ფული და შინისაკენ წამოსულა. გზაში უფიქრია, ურიგო არ იქნება გამოვცადო ჩემი ცოლი, უყვარვარ თუ არაო. ამიტომ, როდესაც შინ მისულა, უთქვამს სურისთვის (ასე ეძახდნენ ებრაელის ცოლს), ფული ვერაფერი მოვიტანე თან, ომის გამო რაც რამე მქონდა დავკარგე და ცარიელ-ტარიელი მოვედიო. ცოლს ძალიან სწყენია ეს ამბავი, გაჯავრებულა კიდეც და უთქვამს, მე შენთან ცხოვრება არ შემიძლიან და უნდა გავქორწინდეთო. ქმარი ამით დარწმუნებულა, რა ძალიან ჰყვარებია ცოლს და დათანხმებულა განქორწინებაზედ. ყოველ-გვარი ხარჯი ცოლს უკისრია. როდესაც საქმე გათავებულა და ცოლქმარნი განშორებულან, ცოლს ყოველივე გაუგია. საწყალი რამდენსამე დღის შემდეგ დარდისაგან გარდაცვლილა.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ივნისი

**ნიუ-იორკი.** ადგილობრივმა გენერალ-კვარტირმეისტერმა მიწერილობა მიიღო, რომ კუნძულ კუბასა და პორტორიკოში ახლავე გემები გაისტუმროს და იქ მყოფი მეტი ჯარი ჩინეთში გაიგზავნოს. ეს ჯარები სანფრანცისკოზედ გაიგზავნებიან.

**კილი.** იმპერატორი ბერგენში წავიდა „ჰოჰენცოლერნით“.

**შანხაი**, როგორც ჩინეთის წყაროებიდგან მიღებული ცნობები იუწყება, იმპერატრიცას 30 ივნისიდგან ქვეყნის მმართვა-გამგეობა კვლავ მიუღია, იუგხუ პირველ მინისტრად დაუნიშნია და ნანკინში იანზეს ვიცე-კოროლებთან შიკრიკი გაუგზავნია მადლობის გარდასახდელად, რომ იმპერატრიცას ერთგულად ემსახურებიან. იმპერატრიცა ურჩევს მათ რაც-კი შეეძლებათ უცხოელებს მფარველობა გაუწიონ.

**ვალგელმსხაფენი.** პირველის ესკადრის მეორე დივიზია ნავთ-სად გურშია ამ ჟამად.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან 26 ივნისს, რომ გუშინ გეილბრონში მოსულნი ბლიგნანტი, დიქსონი, მთავარი ვექილი ვანტერდარი და ორანჟეს რესპუბლიკის საბჭოს წევრი კუპფერბიურგერი დაგვმორჩილნენ. გუშინ გენერალს გეტონს ბურების დიდი რაზმი გარს შემოერტყა, მაგრამ ადვილად მოიგერაო.

**კაპშტადტი.** სტატს-სეკრეტარი ბლიგნანტი და მისი თანაშემწე დიქსონი, რომელნიც გეილბრონში დაგვმორჩილდნენ, ამბობენ, რომ უმჯობესი იქნება გავლენიანი სამსახურის კაცები გავგზავნოთ პრეზიდენტ შტეინთანა და ურჩიოთ დაგმორჩილდნენო.

**პეტერბურგი.** 27 ივნისს ჟიტომირიდგან სადგურ ალექსანდროვსკაიაში მობრძანდა დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე.

27 ივნისს ლიუბლინის ხოლმიდგან სადგურ ახალ პეტერგოფში მიბრძანდა მისი უდიდებულესობა ხელმწიფე იმპერატორი.

27 ივნისს იაპონიის პრინცი კანინი მათის უდიდებულესობის სანახავად პეტერგოფში წავიდა.

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელს დეპეშებში ტელეგრაფის გამოისობით შემდეგი შეცდომებია: ბრიუსელიდგან მიღებულ დეპეშაში ნათქვამია, რომ პრინცის ჩეინჩის ჯარები ჩინეთში მივიდნენო; უნდა იყოს პეკინში. უკანასკნელს დეპეშაში ლონდონიდგან ნათქვამია, რომ ჩინეთში გაიგზავნა 422,840 სროლა ტყვია-წამალი, უნდა იყოს 4.228,400 სროლა ტყვია-წამალი.

28 ივნისი

**პეტერბურგი**. გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება: რომ 50 მ. ნიანი ქაღალდის ფული იქმნას გამოცემული; ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტი გარდაკეთებულ იქმნას: 1) ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეთა გამგეობისათვის ფინანსთა სამინისტროში დაარსეს განყოფილება ვაჭრობა-მრეწველობისა, სავაჭრო ნაოსნობისა და სამოსწავლო განყოფილება; 2) აღნიშნულ განყოფილებათა მოქმედებისა და საზოგადო ხელმძღვანელობის გასაერთებლად დაარსებულ იქმნას თანამდებობა მინისტრის მესამე ამხანაგისა, ხოლო ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტი გაუქმებულ იქმნას.

**ტიან-ძინი.** როგორც ჩინეთის წყაროებიდგან იუწყებიან, უცხოელთ პეკინში ბრიტანიის საელჩოს პირდაპირ მეთხე პრინცის სასახლე დაუჭერიათ და ამ ჟამად აქ არიან გამაგრებულნი. ადგილობრივმა ქრისტიანებმა „დიდის მუშტის“ დევნისაგან თავი აქ შეაფარესო.

**ლონდონი.** პალატა. ბარტლეტი ეკითხება, რუსეთი ხომ არ იყო იმისი წინააღმდეგი, რომ კრიზისის დასაწყისშივე იაპონიამ ჩინეთში საკმაო ჯარი ვერ გაგზავნა წესიერების აღსადგენადო. ბროდრიკმა უპასუხა, რომ მთავრობამ რუსეთის ამ გვარ საქციელის შესახებ არა იცისრაო. ბარტლეტმა იკითხა ამის შემდეგ, ჩინეთში ჯარის გაგზავნის შესახებ იაპონიის გარდაწყვეტილება ყველა სახელმწიფოთა თანხმობაზეა დამოკიდებული, თუ არა, და თუ ასეა, სახელმწიფოთ მისცემს თუ არა ნებართვას. ბროდრიკმა უპასუხა, რომ იაპონიას თავისის ჯარების გაგზავნის შესახებ არავითარი პირობები არ დაუდვიაო. ტაკუში ჯარების გაძლიერების შესახებ დიდის ბრიტანიისა და იაპონიის შორის მოლაპარაკება 31 მაისს დაიყო, რომლებმაც დღემდის გასტანაო. ცხრა ივნისს ბრიტანიის მთავრობამ მიწერილობა გაუგზავნა ტოკიოში მყოფს რწმუნებულს, რომ იაპონიის მთავრობისათვის ეცნობებინა, თუ საელჩონი რა გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან პეკინში, ითხოვდა ინდოეთიდგან ჯარები ჩინეთში გაეგზავნა და იაპონიის მთავრობა დაერწმუნებინა, თუ მის მხრივ დაუყოვნებლივი მოქმედება რამდენად საჭირო იყო. პეკინში მყოფ ინგლისელ ელჩის მაგდონალდისაგან ცნობები 12 ივნისამდე მივიღეთ. იგი გვატყობინებდა, თუ 14 მაისს პრინც ჩეუნთან უკანასკნელად რა მოლაპარაკება ჰქონდა. პრინცი გარდაწყვეტილად თურმე ამტკიცებდა, რომ უცხოელებს უთუოდ მფარველობას გავუწევო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაშინვე საელჩოს მფარველად ჯარი იქმნა გაგზავნილი, თუმცა ამ დროს ჯერ არავითარი ნიშნები არ იყო, რომ ჩინელები საელჩოს თავს დაესხმოდნენ.

**მოსკოვი.** მოწმეთა გამოკითხვა დასრულდა; როგორც წაკითხულ ოქმიდგანა აღმოჩნდა, მამონტოვს აღმოაჩნდა: რევოლვერი, საზღვარ-გარეთ წასასვლელი პასპორტი, ფული ფოსტით გადასაგზავნი, საზღვარ-გარეთ რკინის გზების უფასო ბილეთი და შემდეგი ბარათი: „საქმის გაჭიანურება სრულიად საჭირო აღარ არის; უჩემოდაც საქმე ადვილად გადაწყდება. მივდივარ იმ რწმენით, რომ განზრახ ბოროტი არავისთვის არ მიქნია, ხოლო ვისთვისაც სიკეთე არ დამიშურებია, ის სინიდის ქვეშ მუდამ კარგად მომიგონებს. ფარისეველი მისს დღეში არა ვყოფილვარ“. როგორც აღმოჩნდა, ეს ბარათი დაპატიმრებამდევე ჰქონია შედგენილი. ფოსტით გადასაგზავნად სულ ასი მარკა ჰქონია გამზადებული. პასპორტი და საზღვარ-გარეთ წასასვლელი ბილეთი უვარგისნი აღმოჩნდნენ. რევოლვერის ტარება ჩვეულებადა ჰქონია. ექსპერტიზა თავისს დასკვნას ხვალ გამოსთქვამს.

**ბაქო.** 26 ივნისს ბიბი ეიბათში, ზუბალოვისა, ოლეუმისა, რუსეთის ამხანაგობისა, ბაქოს ნავთის მწარმოებელ საზოგადოებისა და სხ. ნავთის წყაროებს ცეცხლი გაუჩნდა 14 ვიშკა დაიწვა. ამათგან ზოგიდამ ნავთი ამოდიოდა. ზარალი ჯერ გამოანგარიშებული არ არის, ზედ-მიწევნით 100,000 მანეთამდე იქნებაო.

**ბერლინი.** როგორც იუწყებიან, საზღვაო უწყებს მიწერილობა გაუგზავნია სანაღმო ინსპექციისათვის, რომ 5 ახალი დიდი ნაღმიანი გემი იქმნას დამზადებული და ჩინეთში გაიგზავნოს.

**პარიჟი.** პალატამ ხმის უმეტესობით დაამტკიცა 14 ნახევარი მილიონის კრედიტი, რომელიც ჩინეთის ექსპედიციისათვის არის საჭირო.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ წარმომადგენელს ჩინეთის საელჩოს წარმომადგენელთან ჰქონია ლაპარაკი. წარმომადგენელს უთქვამს, რომ ამ არეულობის ბრალს ვერც ქვრივს დედოფალსა და ვერც მთავრობას ვერ დავდებთო. ეს არეულობა მთლიანად პრინცის ტუანის დაწყებულია; ჩინელები „დიდი მუშტის“ აღელვებას არ თანაუგრძნობენ და, იმედია, მთავრობა შესძლებს მშვიდობიანად როგორმე შეაყენოს იგიო. საბუთებია იმისი, რომ პეკინში ამ ჟამად საქმის გარემოება ბევრად გაუმჯობესდა პრინცის ჩეინგის მხედრობა იქამდე ძლიერი არ არის, რომ მტერს ჰეტიოს; ამის გამო მისის დასის წარმომადგენლნი ურჩევენ, ჯერ-ჯერობით მხოლოდ მტერი მოიგერიოს, ვდრე ჯარები მიეშველებოდეს. უცხოელთა დასაცველად პრინცი ჩეინი ყოველივე ღონეს ხმარობს. ამასთანავე გამოსთქვა წარმომადგენელმა, რომ იმედია პრინცი განზრახვას შასრულებსო. პრინცს იმედი არა აქვ, რომ საელჩოს წევრნი დახოცილი იყვნენო. ის ამბავიც ნამდვილადარ უნდა ჩაითვალოს, ვითომ იმპერატრიცამა და იმპერატორმა თავი მოიშხამესო.

**ვაშინგტონი.** სტატ-სეკრეტარმა გეიმ საზღვარ-გარედ მყოფს ამერიკის წარმომადგენლებს მიწერილობა გაუგზავნა 20 ივნისს, რომლითაც უცხადებს, რომ შეერთებული შტატები ამიერიდგან ჩინეთის საქმეებს სრულიად არეულად იღებენ და არეულად აღიარებენ და სახელმწიფო უფლებანი და პასუხის მგებლობა ფაქტიურად ამ ჟამად პროვინციების მმართველთა ხელშია; ვინაიდგან იგინი ჯერ-ჯერობით აჯანყებულებს მხარს არ უჭერენ და ყოველსავე ღონისძიებას ხმარობენ უცხოელთა ქონებასა და სიცოცხლეს მფარველობა გაუწიონ, ამერიკა მათ ჩინეთის ერის წარმომადგენლებადა სთვლის, რომელთანაც მეგობრულადა და მშვიდობიანად ცხოვრება ჰსურს ამერიკას. როგორც წინადაც, ახლაც იმ აზრისაა პრეზიდენტი, რომ სხვა სახელმწიფოებთან ერთად პეკინთან მიმოსვლა აღადგინოს, იქ მცხოვრები ამერიკელნი გაანთავისუფლოს, მათს სიცოცხლესა და ქონებას მფარველობა გაუწიოს, ხელი შეუშალოს უწესოება და არეულობა სხვა პროვინციებშიაც არ გადაიტანონ და არსებული არეულობა მოსპოს. ამერიკის პოლიტიკას შეადგენს ის, რომ ჩინეთში მშვიდობიანობა იქმნას დამყარებული, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება ტერიტორიალური და ადმინისტრატიული ერთობა ჩინეთისა დაცულ იქმნას და მეგობარ სახელმწიფოთა შორის არსებული ხელშეკრულებაანი და საერთაშორისო უფლება არ იქმნან დარღვეულნი. ამასთანავე ამერიკა ვაჭრობის საქმეები ჩინეთის ყველა ნავთსადგურებში ყველა სახელმწიფოთათვის თანასწორ უფლებების პრინციპს ადგია.

**შანხაი.** პეკინიდგან ცნობების მიღება ძლიერ გაძნელებულია, რადგანაც ამ მხრივ კონსულები სავსებით რკინის გზათა დირექტორის შენისაგან არის დამოკიდებულნი. შენსა და ჩიმეთის სხვა უმაღლეს მოხელეთ მეტად დიდი მამულები აქვთ. ამისათვის იმედი აქვთ, რომ იგინი ყოველსავე ღონეს იხმარენ, რომ მშვიდობიანობის დამყარებას უცხოელებთან ერთად ხელი შეუწყონ. ბრბოდგან მრავალნი სამხედრო სამსახურისათვის ეწერებიან თოფხანებში, მაგრამ ამათ შემდეგ ადვილად შეუძლიანთ გასხლტა. იანცზეს დამცველნი მმართველნი ადგილობრივ მცხოვრებთ უცხოელებს დიდს იმედს აძლევენ, რომ საშიშო არა შეემთხვათ-რა არც ერთს სამხედრო გემს ნება არ ექმნება ნაპირზედ ჯარები გადმოასხას და მხოლოდ ცალკ-ცალკე შეეძლებათ სიმაგრეების მახლობლად გავლონ; თუ რომ შენიშნული იქმნება რომ რამდენიმე გემი ერთად იკრიბება, მაშინვე დაიჭერენ და თუ დასჭირდათ, ყუმბარებსაც დაუშენენ. შენის წინადადება იმის შესახებ, რომ ჩინელთაგან თავისუფალი მეომარ[...] კორპუსი შეედგინათ, უარ-ყოფ[...] იქმნა.

**პარიჟი.** საფრანგეთის კონსუ[...] იუწყება დეპეშით, რომ ფუჩოუ სრ[...]ლიად დამშვიდებულია. ვიცე-კ[...]როლმა და ჩინეთის მარშალმა [...] ხოელთა სასარგებლო მოწოდებ[...] მოაქვეყნეს, მაგრამ მოითხოვეს, [...] ჯერ ხნობით სამხედრო გემები [...] ჩოუში შესვლას ერიდნენ.

**ლონდონი.** სენეკალიდგან [...]ყებიან, რომ გენერალმა რ[...] მიდამოები დაათვალიერა და [...] მუნდა, რომ მტერს სენეკალ[...]ლობლად სიმაგრეები დაუტო[...] როგორც ეტყობა, მტრის ჯ[...] უმეტესი ნაწილი ფიქსბურგ[...] რეპიფსნეკს წასულა. რობერტს[...] დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან, რომ კლემენტსისა და პეჯეტის ჯა[...]რები 24 ივნისს ბეთლემში მივიდ[...]ნო. დევეტი დამორჩილებაზედ უა[...] ამბობს. ირლანდიის რაზმმა მტ[...] სიმაგრე იერიშით აიღო და სტრო[...]ბერგში წართმეული ზარბაზანი უკ[...]ვე დაიბრუნა. მტერი უკუ-იქ[...] ინგლისის ზარალი დიდი არ არ[...] თუმცა ჯერ გამოანგარიშებული [...] არის.

**ტიან ძინი.** გუშინ ჩინელები [...] ხოელთა უბნებს ერთთავად ყუმბარებ[...] უშენდნენ. 150-ამდე ყუმბარა გად[...]ვარდა უცხოელთა უბანში; მრავა[...] სახლი ნახევრად დანგრეულია. ხ[...]ხი ბევრი არ დახოცილა. ქალებმა და ბავშვებმა ბრძანება მიიღეს ქალაქის შენობის სარდაფებში შეაფარონ თავი. იაპონიის ქვეითა ჯარის სამმა როტამ, სამთო ბატარეიამა და რამდენმამე რუსის ჯარის-კაცმა ჩინეთის ბატარეიაზედ იერიში მიიტანეს, მაგრამ უნაყოფოდ. მაშინ სამხედრო გემმა „ტირრიბლმა“ დაუწყო ყუმბარების სროლა. მტერმაც სამაგიეროდ სროლა დაიწყო; ორი ყუმბარა ზარ[...]ბაზანს მოჰხვდა და სუბუქად დააზ[...]ანა. მის მაგიერად ახლა საფრანგეთ[...] ზარბაზანი იქმნა დადგმული. ჩინეთ[...] არტილერია ძალიან კარგად ისრო[...] იაპონელებს ერთი ოფიცერი და [...] ჯარის-კაცი მოუკლეს, 20 დაჭ[...]ლია. არ იციან, რუსებს ან ჩ[...]ლებს რა ზარალი მოუვიდათ. [...] დაწყვეტილია უკვე ტაკუში მოს[...] ქალები და ბავშვები იაპონიაში [...]ნან გაგზავნილნი.

---

## წერილი რედაქციის მი[...]

დიდს მადლობას ვუცხადებ [...] ვინც-კი სოფ. გომის ეკლესიისა [...] ასაშენებლად თავისი წვლილი არ[...] შემოსწირეს: მ. გოგატიშვილმა [...] ი. უროტაძემ 50 მან., ს. მამაცაშვი[...] მა[...] ს. ფხიკიძემ 5 მ., ლ. გელაშვი[...] მა [...] ს. გელაშვილმა 5 მ., ვ. ბახტაძემ 5 [...] გ. გოგატიშვილმა 5 მ., მ. გოგატი[...] მა 20 მ., ს. პაპიაშვილმა 5 მ., ი. [...] მაძემ 3 მ., ა. კაკაბაძემ 10 მ., ბ. ყ[...] რაძემ 1 მან., ი. მირიანაშვილმა 1 [...] ნ. ნუცუბიძემ—3 მან., ნ. გოგოლაძე[...] 1 მან., ნ. გიორგაძემ—1 მ., რ. სხირ[...] ლაძემ—3 მან., პ კვინიკაშვილმა—1 მ[...] ა. ფხიკიძემ—3 მან., გ. ოსაძემ 3 მ., პ. პა[...] აშვილმა—10 მან., თავ. ი. ვაჩნაძემ [...] მ., სამაზრო სამრევლო სკოლების მეთვ[...] ყურემ მღ. ბენ. კონტრიძემ—5 მანეთი[...] ნ. კაწარავამ 10 მ., ზ. ხუციშვილმა 1[...] ი. როსტომაშვილმა 35 მ., მაგრაკვერ[...] 25 კ., პ. და დ. 1 მ., ასანიძემ 1 [...] ქიტიაშვილმა 10 მან. სულ 306 მან[...] 35 კაპ.

ვაყის მიძინების ეკლესიის მღვდელ[...]

მიხეილ დევ[...]

---

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28-го Іюня 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავა[...]